ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და საქართველო



ვაჟა შუბითიძე
თსუ სრული პროფესორი

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სამოქალაქო დაპირისპირებამ განაპირობა ჩვენს ქვეყანაში, პოლიტიკური კრიზისის დაწყება, რაც 1992 წლიდან ლეგიტიმურობის კრიზისში გადაიზარდა. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი არის ქვეყანაში ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების არარსებობა. ესაა კრიზისი, როცა ხელისუფლება იურიდიულად არჩეულია, მაგრამ ხალხის თვალში მას არ გააჩნია ფსიქოლოგიური ლეგიტიმურობა, რაც, თავის მხრივ, უამრავ პრობლემას ბადებს, მათ შორის, მოსახლეობის ემიგრაციას სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში იაფი მუშახელის სახით.

დღევანდელი ქართული საზოგადოება უამრავი პრობლემით არის დატვირთული – ცხოვრების გიჟური რიტმი, საშინელი კონკურენცია, გაზრდილი მოთხოვნები, გადაღლა, მღელვარება, სოციალური დაპირისპირება და პოლიტიკური ბრძოლის მიუღებელი მეთოდები, ადამიანთა გამოფიტვა და ჯანმრთელობის აღდგენის შეუძლებლობა, ძალადობის და შიშების ზრდა, პათოლოგიური ტიპების მომრავლება, დაუნდობლობა, ელიტის ზნეობრივი დეგრადაცია, დაუცველობა და სამართლიანობის დეფიციტი, განუკითხაობა, უღირსთა პარპაში და ყველაფრისადმი და ყველასადმი მომხმარებლური დამოკიდებულება, სავალალო დემოგრაფიული სურათი. ჩვენი ხალხის ასეთი ყოფა შედეგია სამოქალაქო დაპირისპირებისა და სამაჩაბლო-აფხაზეთისათვის ომში დამარცხებისა. ბუნების კანონით **„დავრდომილის, დამარცხებულის სხეულში და ტანზეც ჩნდება ათასნაირი შხამიანი ბაცილა, მუწუკი და ჭირი. ჩვენი შინაური რღვევა და აღრევაც, მზაკვრობა და მუხანათობაც მუდამ შედეგი იყო ჩვენი დამარცხებისა გარეშე მტრისაგან... „ძარღვგადაჭრილი, იმედგაცრულებული და გამწარებული ორგანიზმი იწყებს საკუთარივე თავის ღრღნას და ჭამას. ამიტომ მოსდევს ხოლმე ჩვენს დამარცხებას ანარქია, შიმშილი, ეპიდემია, ზნეობრივი გახრწნილება, განდგომა და დაშლა პროვინციებად“ (მ. ჯავახიშვილი).**

მეორე დიდი უბედურება იყო ქუჩიდან მოსული არაკომპეტენტური ადამიანების მართვა-გამგეობა, რომლებმაც ქვეყანა ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის მიერ გაკვალულ გზას აცდინეს. ეს იმიტომ, მოხდა რომ საზოგადოების წაყრუების შედეგად ასეთმა მმართველობამ არაფრად ჩააგდო ეროვნული ფასეულობები, პიროვნული ღირსებები, ინტელექტი, ცოდნა, პროფესიონალიზმი, ზნეობა (არადა, „ზნეობა – ეს არის იცხოვრო შენი ხალხის წეს-ჩვეულებებით“, – ამბობდა არისტოტელე). საამისოდ კი ნიადაგი ჯერ კიდევ კომუნისტებმა შეამზადეს.

გააქტიურდნენ კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები და მათთან დაახლოებული წრეები. დაიწყო ქართული ეთნოკულტურული სივრცის გაველურება და გაღარიბება, მანკიერი **„თამაშის წესების“** გავრცელება, ცნობიერების გამრუდება. ყოველივე ამის შედეგად კი მივიღეთ აღვირახსნილობა, ცინიზმი, ორმაგი სტანდარტები, ზნეობრივი დეგრადაცია, ცოდნისა და ეროვნულ ფასეულობათა, მეცნიერების ნგრევა, დევალვაცია, რითაც ცხოვრება დაუმახინჯდა ახალგაზრდობას და მომავალ თაობას. საქართველო, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, ვაიმმართველთა და მეხუთე კოლონის ანტიეროვნული ქმედების შედეგად საკმაო ხნით ჩამოშორდა განვითარების ცივილიზებულ გზას.

აზიური ინერტულობა და სხვისი მოიმედეობა კვლავ იქცა ქვეყნისა და ჩვენი ხალხის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად. არადა, **„ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისთვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა, რაგინდ საღი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს“** (ნ. ნიკოლაძე).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა შევიმუშაოთ განვითარების ეროვნული მოდელი და გავითვალისწინოთ უცხოეთის დადებითი გამოცდილებაც (განსაკუთრებით იაპონიის). ვინაიდან საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკის გაგრძელებაა, ამიტომ უმთავრესი ყურადღება უნდა დაეთმოს საშინაო პრობლემების მოწესრიგებას. ცნობილია, რომ **„მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად**

და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ საშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემურ იგნორირებას, შევუქმნით ჩვენს თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდავოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს“ (ნ. ნიკოლაძე).

განვითარების ამ ეროვნულ მოდელს საფუძვლად უნდა დაედოს განათლება და ჩვენი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, ღირსება, ქართული ცხოვრების წესის მდიდარი ეროვნული შინაარსი, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, პიროვნების სოციალური უსაფრთხოება და შეცნობილი თავისუფლება, შრომის ჭკვიანური ორგანიზაცია, საშემსრულებლო დისციპლინა, კერძო და სახელმწიფო საკუთრების შეთანასწორება (პრინციპით „კერძო საკუთრება ყველგან, სადაც შესაძლებელია და საზოგადოებრივი რეგულირება ყველგან, სადაც ეს აუცილებელია“), ქართული ეროვნული წარმოების განვითარება და პროტექციონიზმი, სახელმწიფო და კერძო რეკეტის, კრიმინალური ცნობიერების აღმოფხვრა, კორუფციის საფუძვლების მოშლა, კადრების მოძიება, აღზრდა და სწავლება მათ დანიშვნამდე (ე.წ. კადრების ბანკის შექმნა, ასევე „მოუხმობელთა მოხმობა“), თვითგანადგურების პროცესის შეწყვეტა და ჭეშმარიტი ეროვნული ინტერესების წინ წამოწევა, ნიჭიერი ადამიანების ხელშეწყობა და მათზე განსაკუთრებული ზრუნვა, „სიტყვა-საქმის“ კონტროლის სქემის დამკვიდრება (ყოველი გადაწყვეტილების შესრულების მკაცრი კონტროლი საჯარიმო სანქციების გათვალისწინებით), საქმიანი პატრიოტიზმი, ლუსტრაციის კანონის ამოქმედება, არაქართული მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ინტერესების გათვალისწინება და ა.შ.

ჩვენი ქვეყნის უბედურების ერთ-ერთი სათავე ის არის, რომ 1990 წლიდან დღემდე საქართველო იმყოფება უმართაობის მდგომარეობაში. ამას კი განაპირობებს არასწორად სინთეზირებული ქვეყნის მართვის სისტემა და არასწორად შერჩეული ხელოვნური კადრები.

პირველი გარემოება გამოწვეულია იმით, რომ დიდი სისტემების მართვის თეორიიდან გამომდინარე, არასრულფასოვნად არის ჩატარებული ქვეყნის, როგორც მართვის ობიექტის ანალიზი, არ არის დამუშავებული სამართავი ობიექტის გადაცემის ფუნქცია, მართვის ფუნქციონალი. ეს ნიშნავს, რომ

– არ არის შემუშავებული მიზანთა სისტემა, რომლის მიმართაც უნდა იქნას შედგენილი ეს ფუნქციონალი;

– არ არის განსაზღვრული ის შეზღუდვები, რომლებიც განაპირობებენ მართვის ფუნქციონალის ამოხსნის არსებს;

– არ არის შერჩეული კრიტერიუმები, რომელთა მიმართაც უნდა ხორციელდებოდეს მართვის ფუნქციის ოპტიმალური ამოხსნების მოძებნა შეზღუდვებით განსაზღვრულ არეებში.

ყოველივე ამის გამომწვევი მიზეზია ის გარემოება, რომ ქართველ ერს შემუშავებული არა აქვს ეროვნული იდეოლოგია (როგორც ეს შეიმუშავეს ებრაელებმა და სხვებმა).

ეროვნული იდეოლოგია უნდა ჩამოყალიბდეს შეხედულებათა 10 სისტემის სახით. ესენია: 1. ეკონომიკური; 2. დემოგრაფიული; 3. ზნეობრივი; 4. სამართლებრივი; 5. რელიგიური; 6. კულტურული; 7. ფილოსოფიური; 8. ეროვნული ცნობიერების; 9. ეკოლოგიური; 10. პოლიტიკური (ამ მაჩვენებელთა მთლიან სისტემას მიხაკო წერეთელი უწოდებდა „ერის იდეალს“).

შეიძლება ითქვას, რომ ისეთი უმთავრესი ქვესისტემები, როგორიცაა ეკონომიკური და სამართლებრივი, დღეს ფაქტობრივად უმოქმედოა. პარლამენტის მიერ შემუშავებული კანონები ამ სფეროში (ისევე როგორც სხვებში) არ მუშაობს, ვინაიდან აღნიშნული კანონები არ არის შემუშავებული ჩვენი ქვეყნის საჭიროებისთვის, მათ უბრალოდ უცხოურიდან თარგმნიან.

როცა ერს არა აქვს ეროვნული იდეოლოგია, მაშინ მისი სამთავრობო და პოლიტიკური წრეები ინტუიციურად ირჩევენ გლობალურ და ლოგიკურ მიზანთა სისტემას. ფუნქციურად ხელახლა დაბადებული ქვეყნის სისტემის მართვა წარმოებს უკვე მკვდარი სისტემის (საბჭოთა სისტემის) მეთოდებით. აქტიური ორგანიზაციული სტრუქტურების ანალიზი და სინთეზი მოიცავს:





– ინფორმაციის მონიტორინგს – ინფორმაციის შეგროვებასა და მის პირველად გადამუშავებას სამართავი და მართვის ობიექტების და მათი გარემოს მდგომარეობის შესახებ;

– სამართავი გადაწყვეტილებების მიღებას;

– გადაწყვეტილებების დეტალიზაციას და შესაბამისი ზემოქმედების გამომუშავებას;

– ზემოქმედების დაყვანას მართვის ობიექტის შესაბამის დონეებამდე;

– შესრულების მკაცრ კონტროლს;

– მართვის სისტემისა და მართვის ობიექტის გამოკვლევას მდგრადობასა და განვითარებაზე.

უნდა შემუშავდეს ქვეყნის მართვის ახალი სტრუქტურა, რომელიც უნდა შეიცავდეს ახლანდელთან შედარებით ხუთჯერ ნაკლებ სამართავ სტრუქტურებს და ათჯერ ნაკლებ სახელმწიფო მოხელეებს.

უნდა შეიქმნას სახელმწიფოს ხელმძღვანელი კადრების შერჩევის ტესტური ავტომატიზებული სისტემა და მისი საშუალებით შერჩევა-შემოწმებას დაექვემდებაროს ყველა სახელმწიფო მოხელე პრეზიდენტის ჩათვლით.

კრიზისულ მდგომარეობაში სახელმწიფოს მართვის ძირითადი ამოცანები უნდა იყოს სტრუქტურული მიმართულების, რათა უზრუნველყონ ძირითადად ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია (ენერგეტიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვ.) და სოციალურად ორიენტირებული მდგრადი საბაზრო გარემოს ფორმირება. კრიზისის შემდგომ პერიოდში კი უნდა განხორციელდეს პრიორიტეტების კარდინალური ცვლა – წინა პლანზე უნდა გადმოინაცვლონ ისეთმა რეგულატორებმა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საკანონმდებლო ნორმებთან, საგადასახადო სისტემებთან, ბიუჯეტთან, საბაჟოსთან და ა.შ. (დღეს ეს საქართველოში უკუღმა ხორციელდება).

ეროვნული იდეოლოგიის მოთხოვნიდან გამომდინარე, გარდა ზემოაღნიშნული მიზნების სისტემისა, უნდა ჩამოყალიბდეს აგრეთვე შეზღუდვების სისტემა, რომლებიც განსაზღვრავენ მიზნების ფუნქციების ამოხსნის არეებს. თუ მიზნებად ავირჩევთ:

ა) ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსს (აპგი) – იგი კრებითი მაჩვენებელია და აერთიანებს შემდეგ პარამეტრებს: შემოსავალს ერთ სულ მოსახლეზე; ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას, განათლების დონეს და მოქალაქეთა საერთო კეთილდღეობის დონეს;

ბ) ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას;

გ) ადამიანის უფლებების დაცვას;

დ) რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებას;

ე) ეროვნულ ცნობიერებას;

ვ) ქართული კულტურის განვითარებას;

ზ) თავისუფალ და კონკრეტულ საბაზრო გარემოს;

თ) სოციალურ უსაფრთხოებას და ა.შ.

მაშინ საჭირო გახდება შემდეგი სახის შესაბამისი შეზღუდვების შემოღება:

ა) ბუნების დაცვა;

ბ) სურსათის იმპორტის შემცირება;

გ) სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობის თავისებურებები;

დ) სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმები;

ე) სექტების მავნე ქმედებების გაუვნებელყოფა;

ვ) ინტერნაციონალური დებულებანი (ეროვნული ინტერესების წინა პლანზე წამოწევით);

ზ) ეროვნულ უმცირესობათა კულტურების პატივისცემა;

თ) მონოპოლიზმის აღმკვეთი ღონისძიებები; ხალხის ძალიან მდიდრებად და ძალიან ღარიბებად დაყოფის პროცესის შესუსტება.

მხოლოდ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმებით ქვეყნის აღმშენებლობა და ცხოვრების სრულყოფა შეუძლებელია: რელიგიური მრწამსის, ტრადიციისა და ზნეობისკენ საზოგადოების შემობრუნების გარეშე სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დახვეწა და გაკეთილშობილება ვერ მოხერხდება საზოგადოების თვითაღზრდა, კულტურის ამაღლება, წინსვლა, ანუ პიროვნების საკუთარი ცხოვრების გააზრებიდან საზოგადოებრივი ცხოვრების გააზრებამდე ასვლა, თითოეული მოქალაქის რწმენის გაძლიერების შედეგია.

ძლიერი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური წყობის საფუძველია მისი შემადგენელი ნაწილების (ადამიანი, ოჯახი, ადამიანთა ჯგუფები, პარტიები) მაღალი მიზნისკენ სწრაფვა, საერთო ჰარმონია. ბიზნესის განვითარების ყოველგვარი მცდელობა მეცნიერებისა და ხელოვნების, ეროვნული თვითშეგნების და ზნეობის გარეშე ასევე განწირულია: „ხალხის განვითარება და გაძლიერება ყოვლად შეუძლებელია ეროვნული პრინციპების გარეშე... ერი თავისებური კოლექტიური აგებულებაა, თავისებური

კოლექტიური პიროვნებაა. ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ თავისებური, ეროვნული გზით. ისტორიაში ვერ მოძებნით ისეთ მაგალითს, რომ ერს ეღალატნოს თავისი ეროვნებისათვის, ეროვნული კულტურისათვის და არა გახრწნილიყოს, არ აღმოფხვრილიყოს... ძალ-ღონე ყოველის ერისა უმთავრესად დამოკიდებულია ეროვნულის, მამულიშვილურის გრძნობის განვითარება-გაღონიერებაზე. სადაც ეს ცენტრალური გრძნობა სუსტია, იქ ხალხი უძლურია“ (იაკობ გოგებაშვილი).

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის საჭირო ეფექტური ხელისუფლების ქმედითი მოდელის შექმნაში ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძალაუფლების ეროვნული ხასიათის განმაპირობებელ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: ქართული ცხოვრების წესი, წინაპართა ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები, ეროვნული კულტურა. ტრადიციების გარეშე არ არსებობს არც ეროვნული სული და არც ცივილიზაციის მიღწევები. მის ძირითად ელემენტსა და კომპონენტს ენა წარმოადგენს. ჩვენი საზოგადოების დაუდევრობისა და უკულტურობის შედეგად სახელმწიფო სტატუსის მქონე ქართული ენა შებღალულია და უპატრონოდ არის მიგდებული (რუსიფიკაცია ამერიკანიზაციამ ჩაანაცვლა). ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი უდიდესი ღირებულებები, ყველაფერი, რაც ქართველმა ხალხმა საუკუნეთა სიღრმეში შეიმუშავა და ათას ჭირვარამგამოვლილი დღემდე შეურყევლად მოიტანა, დღეს დაშლის პირასაა (უფრო მეტად კი ჩვენი დაუდევრობის შედეგად). ამიტომაც ქართული სახელმწიფოს გაძლიერების და ფეხზე დაყენების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „ქართველობის“, ქართული ცხოვრების წესის ჭეშმარიტი ეროვნული შინაარსის აღორძინებას.

ჩვენს დიდ წინაპრებს ძალიან მცირე პირადი მოთხოვნილებები და უდიდესი იდეალი ასულდგმულებდათ. ეს იდეალი იყო საქართველოს დიდება და ქვეყნის უანგარო სამსახური. თითოეული მათგანი მზად იყო ქვეყნის საკეთილდღეოდ სამსხვერპლოზე მიეტანა თავისი ოჯახი, ქონება და სიცოცხლეც კი.

ქართული ცხოვრების წესის სხვა უმნიშვნელოვანესი ფასეულობებია: სამშობლოს სიყვარული, ღმრთისმოშიშობა, შრომისმოყვარეობა („მუშაკობა“), როგორც სოციალური ნორმა, ოჯახისა და ოჯახისშვილობის კულტი, სამართლიანობა და ღირსება, კაცთმოყვარეობა და ჰუმანიზმი, ავკარგიანობა, მადლის ქმნისა და მიტევების ნიჭი, ბავშვის, ქალისა და მოხუცის მიმართ მოწიწება და პატივისცემა, რაინდული ხასიათი, ახალგაზრდობისადმი ნდობა და „მკაცრი“ სიყვარული, მაღალი ზნეობრიობა და უბრალოება, მონანიების უნარი, მხედრული მოვალეობა და სიმამაცე, ცოდნისაკენ სწრაფვა, თვითკრიტიკულობა, პასუხისმგებლობა და სხვ.



პროფესორი-პოლიტოლოგი **ოთარ ქოჩორაძე** მართებულად მიიჩნევს, რომ „ქართული ცხოვრების წესის მთავარი ხერხემალი – „ქართველობა“, როგორც უნიკალური ფენომენი, შეიძლება შევადაროთ გრაალის თასს, სადაც საუკუნეთა განმავლობაში წვეთობით გროვდებოდა ერის სულიერი და ხორციელი ცხოვრების შემაკავშირებელი დუღაბი“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საზოგადოების მსგავსად, ხელისუფლებაც ღრმად ეროვნული უნდა იყოს, ერის სატკივარი უნდა ესმოდეს და მისი ცხოვრებით ცხოვრობდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნული უმოკლეს დროში თუ არ განხორციელდება, ამას შედეგად მოჰყვება გაუცხოება სოციუმის ყველა დონეზე, ხოლო გაუცხოების პროცესის გაღრმავებას შედეგად მოსდევს ერის გათიშვა, მისი სულიერი და ფიზიკური ძალების დაკნინება და მოდუნება. მაქსიმალურად შესუსტდება ურთიერთგაგების შესაძლებლობა და თვით ამის სურვილიც კი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის, რაც საბოლოოდ განაპირობებს უზარმაზარ ბზარს ეროვნულ ცნობიერებაში და აღარ იქნება ის უნიკალური ფენომენი, რასაც „ქართველობა“ ჰქვია. აღარ იარსებებს ცნება „ჩვენ“, რადგან სოციუმის ცნობიერებისთვის ის გახდება დისფუნქციური. სოციუმი დაიყოფა მტრულ დაპირისპირებულ „მე“, „შენ“, „ის“, „ისინი“ ჯგუფებად. ყველა ყველასათვის გახდება „უცხო“, „მტერი“, „არაადამიანი“. დაისადგურებს ურთიერთშიში, უნდობლობა და მტრობის ატმოსფერო, რაც გამოიწვევს საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ აფეთქებას, რომელიც წალეკავს და მოსპობს ყველაფერს.

ეს ყველაფერი დღევანდელი ქართველობის გასაკეთებელია და მხოლოდ ღმერთის იმედად და ანაბრად ამ საქმის დატოვება ჩვენი ხალხის მხრიდან უპასუხისმგებლობა და უზნეობა იქნება.